ჯიულოვანი

აჭარაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№4 (46) აპრილი 2011 წელი

ქრისტე აღდგა!

მომლოცველის მახსენებელი

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

საღვთისმეტყველო
აღმსარებლისა და აუგიერისა, სოფლიისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, მიქრებთისა და ცხუმ-სოფლიის მეფეთა-მეფის ლოცვა II

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფლიოს ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწაულთა დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი“, შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნელეთის ძლიერება და კაცობრიობა გათავისუფლდა ეშმაკის ტყვეობისაგან.

„სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!“

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა — თავიანთ სამწყსოებს და, აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი — ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემომქმედი ღმერთი — ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისაკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას.

ფსალმუნში ვკითხულობთ „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ვარსკულავნი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი... აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუაი, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისაჲ, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნი“(ფს. 148, 1-4,7-11).

ამ ღვთაებრივ ჰარმონიას ურჩობისა და ამპარტავნების გამო თავისი ნებით განეშორა პირველქმნილი ადამიანი; თუმცა შემოქმედს მასზე ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდგომ შენდა არს ცხოვრებაი ჩემი“.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ყოვლადდაუტევნელმა განკაცება ინება და კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა, ჯოჯოხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი ეხსნა და კაცობრიობისათვის დახშული ზეციური კარიბჭენი აღეხვნა.

რა შეედრება იმ განძს, რაც მან ამ წუთისოფელში დროებით მყოფ თითოეულ ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება ამ გამაოგნებელი თავგანწირვის, სიყვარულისა და მოწყალებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ.

ამ სასწაულთა სასწაულს ვზეიმობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოვლადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღმყვანებელ საშუალებად იქცა.

ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგელოზების ხვედრი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისათვის გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიაღში დამკვიდრდება.

სხვა არჩევანი არ არსებობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს,... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა“.

წმიდა მამები იმასაც გვასწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შვილები, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე.ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვალია, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გააღვივოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს.

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სიწმინდისათვის ზრუნვაა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულებში გავამეფოთ.

გული არის სულის სავანე, სული კი — ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იღვრება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ ღვაწლზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია.

სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებებისაკენ. მთავარია, ყური დავუგდოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედაც რომ საპირისპიროდ იქცევა, — ცდილობს ჩაახშოს იგი; სხვის დასანახად ვითომ ემსახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისა. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაისწარმეტყველებდითა?.... და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნით თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი (მათე 7,20-23).

ღმერთმა გვიხსნას ამ მდგომარეობისაგან.

და მაინც როგორ მივხვდეთ, ჩვენს გულში ვის უდგას ტახტი? ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდვა და ეგოიზმი ბატონობს, ბობოქრობს

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ღვარძლი, ავსიტყვაობა, შური, შუღლი, ამპარტავნება და სხვა ვნებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტევებელი, სამართლიანი, მოწყალების გამცემი, სხვაზე მზრუნველი...“.

ასე რომ, ძნელი არ არის გავერკვეთ, ვისი მსახურნი ვართ და, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამრჩენელი ნაბიჯები. საერთოდ, უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს — ორს, ზოგს — ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოეთხოვება; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულებაც, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება. მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა, ნაწილს, — ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვემდგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: ვინც თქვენს შორის მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, — ყველას მონა“; და ამის უდიდესი და უთვალსაჩინოესი მაგალითი, პირველ რიგში, თვითონ მოგვცა. ასეთი დამოკიდებულება მოეთხოვება ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს. მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთერთი ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანულ სწავლებას ეყრდნობა, მაგრამ ზოგიერთთათვის ეს ცნებები უკვე განსხვავებულ შინაარსს ატარებს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაგალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება. ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანგრეული ურთიერთობების ხელოვნურად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლადაუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება. რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილმებითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დაზიანებს. არადა, როგორი მონდომებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით — მასმედიით ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტირები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სუროგატი დედების“ ინსტიტუტის შექმნა“ უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მადლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხედავ ბევრს ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მთესველნი გახდებიან. ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მათ სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელნი არიან. საერთოდ, ყველა ერს თავისი იდეა აქვს.

რა არის ჩვენი იდეა და რაში ვლინდება იგი?

ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით — ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვაში.

დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვიანდერძა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის. პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვრცობის არეალი გიორგი მერჩულემ ასე განსაზღვრა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“, ხოლო, ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე). აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი. ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს. ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“. დიახ, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაჟკაცობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართულ იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა. ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრაელად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასაკვიდრებლად. ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვიწრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე. სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის წილხვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომლნიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის წიაღს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მიიჩნევიან. ისინი არიან ვაზის ნასხლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მარტო გენეტიკურ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I. ეგოისტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქცეული მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმხორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედაც და შვილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯვა-წამებაში გაატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესრულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა.

ასე რომ, ქართული სამყარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის წიაღი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს აზრია ჩადებული ფარისევლებისადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ..., სიტყუაი ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის..., უკეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ..., თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37,39,44,47). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყვნენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაჟდენ პირველმოწამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებულის ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმიდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა. საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანაშემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მეფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტერში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, — ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მირონობა...

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვთიშავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. მე განსაკუთრებით ვლოცულობ თქვენთვის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს — ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უდებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, ჰერეთის მკვიდრთ და უფალს თქვენთან ერთად შევღაღადებ: „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებად შენდა!“

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2011წელი

ბოშლეჩლის უპასუხება

ფილმ „ კოლხური სუიტიდან“ ორი ფრაგმენტით დაიწყო საღამო 2011 წლის 14 აპრილს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ფილმში ორ მეგრულ სიმღერას — „მარებელსა“ და „სუფრულს“ ასრულებს კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატია — „სამურზაყანოელ ბულბულად“ წოდებული გალში მოღვაწე ნიჭიერი ადამიანი. საღამო, რომელიც მას და ცენტრის ეგიდით მასზე გამოცემული წიგნის „სამურზაყანოელი ბულბულის“ პრეზენტაციას მიეძღვნა, მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ამ დღეს აღინიშნება ქართული ენის დღე. დარბაზში თავი მოიყარეს კონსტანტინე ჩიკვატიას ახლობლებმა, ნაცნობ–მეგობრებმა, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. სცენას ამშვენებდა სურათი, რომელზეც გამოხატული იყო მომღერალი ღვინით სავსე ფიალით ხელში და რომელიც ვარდებისა და მიხაკების თაიგულებით იყო შემკული.

საღამო მიჰყავდათ სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე **სვეტლანა ქეცბას** და წიგნის რედაქტორ **რუსუდან წურწუმიას**. კოტე ჩიკვატიას შემოქმედებასა და ცხოვრებას ეძღვნებოდა მათი წინათქმა. საინტერესო მოგონებებით სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ: ბაკურ გულუა, ანზორ ერქომაიშვილი, ვალერი ჭანტურია, ვეზდენ ოკუჯავა, თამაზ ხუბუა. მათ დამსწრე საზოგადოებას გაუცოცხლეს ჩიკვატიას ცხოვრების მრავალი ეპიზოდი. ასეთი იყო თუნდაც **ბაკურ გულუას** ნაამბობი: „დიდი სიყვარულით იყო დაკავშირებუ-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ლი კოტე ჩიკვატიას ანსამბლთან ბატონი ილია ვეკუა... როდესაც ეს სახელგანთქმული მეცნიერი გარდაიცვალა, მოხდა ისე, რომ რამდენიმე წუთში მისი სახლის სადარბაზოში აღმოვჩნდი და კინაღამ მუხლები მომეკვეთა, როდესაც იმ ოთახიდან, სადაც მიცვალებული ესვენა, ბატონ კოტე ჩიკვატიას ანსამბლის მიერ შესრულებული მეგრული სიმღერების ღვთიური ჰანგები შემომესმა. შემდეგ შევიტყვე, რომ სიკვდილის წინ მათი მოსმენა ბატონ ილიას უთხოვია და ამ ხმებში ჩაძირულს აღმოხდა, თურმე, სული... გალიდან რამდენიმე წლის წასული ვიყავი, როცა მითხრეს, ბატონ კოტე ჩიკვატიასაც სიკვდილის წინ სიმღერა წამოუწყია და მისი სიცოცხლეც ამ სიმღერასთან ერთად დასრულებულა“.

„კოტეს ლამაზი ხმა ჰქონდა — თქვა თავის გამოსვლაში **ანზორ ერქომაიშვილმა** — სიმღერის დროს თავისუფლად იმპროვიზირებდა და ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, იგი ნამდვილად ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებული მომღერალი იყო, თავის მეგობრებთან კარგად იყო შემღერებული და გასაოცარი ტექნიკითა და განსაკუთრებული სასიმღერო მანერით ასრულებდა უძველეს მეგრულ სიმღერებს... კოტე ჩიკვატიას და მის მეგობრებს რომ ვუსმენდი, ვრწმუნდებოდი, რომ ისინი მართლაც განსაკუთრებული მომღერლები იყვნენ, მათი „ბებრული“ ნამღერი საუკუნეებიდან

წამოსულ წინაპართა განუმეორებელი ხმები იყო.“

კოტე ჩიკვატიას უმცროსი შვილის აწ გარდაცვლილი ზურაბის ბავშვობის მეგობრის **თამაზ ხუბუას** მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა პირველი შეხვედრისას მიღებული შთაბეჭდილება: „სადაც ის გამოჩნდებოდა, მის მიმართ ენით აუწერელი მოწიწება და პატივისცემა იგრძნობოდა. ალბათ იმიტომ, რომ მას გააჩნდა თავისი ცხოვრების წესები, ტრადიციისადმი თავისი დამოკიდებულება. ეს ძალიან კეთილშობილი და კეთილმოსურნე ადამიანი შეუვალი და პირშიმთქმელი იყო, როდესაც ქართულ–აფხაზური წესებისადმი, ტრადიციებისამი უპატივცემულობას შეამჩნევდა ვინმეს. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ ათქმევინა ბატონ ბაკურს დიდებული სიტყვები, რომ წესებს, რომლებიც საქართველოს თავის ეროვნულობას, თავის სახეს უნარჩუნებს და შემდეგშიც უნდა შეუნარჩუნოს, ისეთი კაცები ქმნიდნენ, როგორიც კოტე ჩიკვატია იყო.“

კოტე ჩიკვატიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ბედნიერება ხვდა წილად ქორ-მეისტერ **ვეზდენ ოკუჯავას**: „მას გამოარჩევდა განსაკუთრებული სულიერი სიწმინდე, იყო არაჩვეულებრივად ადამიანური და მომფერებელი, დიდი მასწავლებელი და ენატკბილი მოუბარი – სწორედ ასეთი ბუნების ადამიანს შეეძლო ემღერა ისე, როგორც იგი მღეროდა. სიმფონიურ ორკესტრში პირველი ვიოლინო ორკესტრის მეფედ ითვლება. ასევე, გალის დიდებული ანსამბლის პირველი ვიოლინო, პირველი ხმა და მეფე იყო ბატონი კოტე. მას ჰქონდა ხავერდოვანი ლამაზი ტემბრი – მაღალი, უსაზღვრო შესაძლებლობის ბგერა. როგორც სოლისტი, ის იყო შეუდარებელი. ლეგენდარული ნოკო ხურციას შემდეგ“ჰარირას“ ნამდვილი შემსრულებლის პოვნა რთულია. ასევე ძალიან ძნელია ბატონი კოტე ჩიკვატიას შემდეგ იმღერო „მარებელი“. სწორედ ასეთი რანგის შემოქმედთ უნდა ვუმადლოდეთ უნიკალური ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობის მოტანას ჩვენს თაობამდე“. ვეზდენ ოკუჯავამ თავისი სიტყვების დასტურად სოხუმის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტ გოგონათა ანსამბლს შეასრულებინა ის სიმღერები, რომლებიც მას კოტე ჩიკვატიამ შეასწავლა. საღამოში მონაწილეობა მიიღეს და მსმენელის დიდი წამატება დაიმახურეს, აგრეთვე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელწიფო კონსერვატორიის ანსამბლმა „კერიამ“ თამაზ გამისონიას ხელმძღვანელობით და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა ანი ცარციძემ, დავით ჭყონიამ და არჩილ გოგიტიძემ, რომლებმაც პროფესიონალთა მიერ დამუშავებული ქართულ-მეგრული ხალხური სიმღერები შეასრულეს.

მხატვრული პროგრამიდან გამოყოფას იმსახურებს კონცერტის ყველაზე ნორჩი მონაწილე, კოტე ჩიკვატიას შვილთაშვილი სალომე ქარაია. ის თბილისის სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტის ხელოვნების განყოფილების მოსწავლეა და ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას პედაგოგ ნანა შანიძესთან ეუფლება.

ღონისძიების ბოლოს აუდიტორიას სამადლობელი სიტყვით მიმართა კოტე ჩიკვტიას ქალიშვილმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა **რაისა ჩიკვატია-ქარაიამ**, რის შემდეგაც კონცერტის მონაწილეებმა და მოწვეულმა სტუმრებმა საბანკეტო დარბაზში გადაინაცვლეს, ცენტრის მიერ მოწყობილ ფურშეტზე, სადაც მომღერლისადმი მიძღვნილი საღამო ლამაზად გაგრძელდა.

“სტალინგრადის ბრძოლა”

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა აფხაზეთიდან დევნილებისათვის თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული და თვითმყოფადი — მარიონეტების თეატრის გაცნობა ითავა. თეატრი რეზო გაბრიაძემ 1981 წელს დააარსა. ეს ერთი ხელოვანის თეატრია, სადაც იგი დღემდე მოღვაწეობს როგორც დრამატურგი და რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გაფორმების ავტორი. დაჯილდოვებულია მრავალი პრემიით: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, „ტრიუმფი“, „ნიკა“, „ოქროს სოფიტი“, „ოქროს ნიღაბი“, „ცარსკოსელსკაია პრემია“ და სხვ. საფრანგეთში მიენიჭა კომანდორის საპატიო წოდება. მარიონეტების თეატრის სცენაზე დაიდგა სახელგანთქმული სპექტაკლები: „ალფრედი და ვიოლეტა“, „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“, „ტრაპიზუნდის იმპერატორის ქალიშვილი“, „ჩემი გაზაფხული შემოდგომა“, „სტალინგრადის ბრძოლა“. ამ უკანასკნელს მდიდარი სცენური ისტორია აქვს. 1994 წელს საფრანგეთის ქალაქ დიჟონ-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ში შედგა მისი პრემიერა; 1998 წელს რეზო გაბრიაძემ თბილისში წარმოადგინა ამ სპექტაკლის განახლებული დადგმა. „თეატრის ისტორიის უდიდესი მომენტი“ უწოდეს სპექტაკლს ავინიონის (საფრანგეთი) საერთაშორისო ფესტივალზე. მასზე აღფრთოვანებულ შეფასებებს არ იშურებენ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების პრესის ფურცლებზეც:

„ძნელია რაიმეს შეადარო „სტალინგრადის ბრძოლა“. მსგავსი რამ არ უნახავს ამერიკელ მაყურებელს. ტექნიკური თვალსაზრისით ეს თოჯინების თეატრია, მაგრამ ჩვენი წარმოდგენა თოჯინების თეატრზე ისევე განსხვავდება ამ სპექტაკლისაგან, როგორც ცხვირის დაცემინება ქარიშხლისაგან“ *(გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“);*

„რეზო გაბრიაძის თეატრი მისი მხატვრული და პოეტური სულის გამოხატულებაა. ის თვითონ არის თეატრი: რეჟისორიცაა, დრამატურგიც, სცენოგრაფიც. მისი შემოქმედება განსაცვიფრებელია, ტალანტი მრავალმხრივი...“ *(გაზეთი „ლე ფიგარო“);*

„იშვიათია ხელოვანი, რომელიც არავის გაგონებს და რომლის შემოქმედება საკუთარ ადგილს პოულობს მაყურებელთა ცნობიერებაში. რეზო გაბრიაძე ერთ–ერთი მათგანია..“ *(გაზეთი „ნიუ–იორკ თაიმსი“);*

„რეზო გაბრიაძის თეატრმა დაამშვენა ედინბურგის ფესტივალი. მაესტრო გაბრიაძის ოსტატობამ და ორიგინალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“ *(გაზეთი „ლე მონდი“);*

„თუ გიყვარს თოჯინების თეატრი, წადით და ნახეთ ეს სპექტაკლი, თუ არ გიყვართ, მაინც აუცილებლად ნახეთ... თბილისის მარიონეტების თეატრი მთლიანად იპყრობს მაყურებელს“ *(ედინბურგის ფესტივალი).*

სწორედ ამ სპექტაკლს დაესწრნენ 2011 წლის 8 აპრილს აფხაზეთიდან დევნილები. სანახაობა მართლაც განუმეორებელი იყო, უსულო თოჯინების მეშვეობით ის ღრმად და შთამბეჭდავად გადმოსცემს დიდ ტკივილსა და დიდ ტრაგედიას. სპექტაკლის შემდეგ დამსწრეთაგან რამდენიმემ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა.

ქეთევან კაჭარავა: ძალიან მომეწონა, საინტერესო ჩანაფიქრია და არაჩვეულებრივად განხორციელებული. ის მთელმა მსოფლიომ აღიარა. მეორეჯერაც უნდა ვნახო აუცილებლად, რომ უკეთ, უფრო ღრად ჩავწვდე რეჟისორის ჩანაფიქრს.

მარინა ამაღლობელი-გვაზავა: სულისშემძვრელი შთაბეჭდილებაა. მართალი გითხრათ, არც კი ველოდი ასეთ სიღრმეს, იმიტომ რომ სცენაზე პაწაწინა თოჯინებსა და დეკორაციას ვუყურებთ, მაგრამ თანდათან ამ პირობითობას ვივიწყებთ და ფინალში იმდენი სხვადასხვა ხაზი იკვეთება, ისეთი ჩამაფიქრებელი საკითხებია წამოჭრილი, რომ მეც გამიჩნდა მისი ხელმეორედ ნახვის სურვილი. სრულიად განსხვავებული ხედვაა, გამოხატვის თავისებური ხელწერა. მოკლედ, საოცარი შთაბეჭდილებაა, საოცარი.

ნუნუ ერქვანია: აღფრთოვანებული ვარ. დიდი მადლობა ამ საღამოსთვის, ჩვენი გახარებისა და სიამოვნებისათვის.

ნატრული გეგეჭკორი: სიმართლე გითხრათ, თავიდან რომ დაიწყო, არ ველოდი რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ეს თოჯინები იმდენად კარგები იყვნენ, ისე მოძრაობდნენ, თითქოს არავინ ეხმარებოდათ. ძალიან მომეწონა. მუსიკაც შესაფერისი იყო, ცრემლები წამომივიდა. ძალიან კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა.

როზა კუხალაშვილი: პირველ რიგში, მინდა სულიერებისა და კულტურის ცენტრის მთელ კოლექტივს, მის ხელმძღვანელს ვუთხრა ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ გვანებივრებენ კულტურული ღონისძიებებით და დღევანდელი ხომ განსაკუთრებული იყო. ამ თეატრში ადრეც ვარ ნამყოფი, მაგრამ ეს სპექტაკლი არ მქონდა ნანახი და მიუხედავად იმისა, რომ ომი უკვე კარგა ხანია დამთავრებულია, მეორე მსოფლიო ომის თემაც ძალზე ნაცნობია, მაინც ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვართ. ჭეშმარიტად, დიდი ხელოვანის დადგმულია.

„ჰამლეტი“ – პარადოქსები!..

(ახალგაზრდა ოჩამჩირელი რეჟისორის წარმატება)

არსებობს პარადოქსის ორი სახეობა – სემანტიკური და ლოგიკური. სემანტიკური პარადოქსის ნიმუშია სენტენცია: „ჭეშმარიტება არ არსებობს.“ თუ კი ჭეშმარიტება არ არსებობს, მაშინ არც ეს მტკიცებაა ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება არსებობს თუნდაც ამ სენტენციის სახით. ან კიდევ: „სიმართლეს არასოდეს ვიტყვი.“ ამის მთქმელმა უკვე თქვა სიმართლე.

ამ ამონარიდმა „მსოფლიო თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან“ (პროექტის ავტორი მერაბ გეგია) გამიადვილა ჩემი პოზიციის გამოკვეთა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილი „ჰამლეტის“ მიმართ. გენიალური ინგლისელი დრამატურგის სრულიად მოულოდნელმა ადაპტაციამ ჩემს თითქოსდა „დაკონსერვებულ“ წარმოსახვაში, ახალი პლასტები წამოატივტივა. რეჟისორმა ლევან ხვიჩიამ და მისმა თანამოაზრე დამდგმელმა ჯგუფმა „სტრესულ შოკში“ (რა თქმა

უნდა კარგი გაგებით!) გვამყოფა იმ ერთი საათის მანძილზე, რომელიც განეკუთვნა სცენაზე გათამაშებულ სურათებს შექსპირის „ჰამლეტიდან“.

ჰამლეტი. comX-ასე განსაზღვრა ჟანრობრივად რეჟისორმა თავისი ნააზრევი. უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ, რამდენი საინტერესო „ჰამლეტი“ უნახავს ქართულ სცენას, აღარაფერს ვამბობ მსოფლიო მასშტაბის მიღწევებზე. ქართული აქტიორული ხელოვნების მონაპოვართა კვარცხლბეკზე დღემდე ხელთუქმნელ ძეგლებადაა აღმართული – ლადო მესხიშვილისა და უშანგი ჩხეიძის, აკაკი ვასაძისა და ვერიკო ანჯაფარიძის განუმეორებელი ინდივიდუალობით ხორცშესხმული „ჰამლეტი,“ კლავდიუსი და ოფელია. ასეთი საამაყო თეატრალური მემკვიდრეობის პირმშონი ვართ და უცებ სრული მეტამორფოზა — თითქმის დებიუტანტმა (თუ არ ვცდები, ეს ლევან ხვიჩიას მეორე სპექტაკლია დიდი თეტრის სცენაზე) რეჟისორმა „გაბედა“ და თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ექსტრავაგანტური, მახვილგონივრული, რა სიმაღლეზე ატყორცნილი აღმოჩნდა ეს რეჟისორული სალტო! საერთოდ, არ მიყვარს ფორსირება მაგრამ ამ შემთხვევაში სიამოვნებით

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

დავარღვევ ჩემს პრინციპს და ვიტყვი: ბრავო, ლევან! შენმა სითამამემ ქულათა მაქსიმუმი დაიმსახურა!...

საყოველთოდ ცნობილია, რომ შექპირის შემოქმედების ქვაკუთხედს შეადგენს ადამიანის პიროვნების რენესანსულ-ჰუმანისტური კულტი და ამ პიროვნების კონკრეტულ, ინდივიდუალიზირებულ და, ამავე დროს, ფართოდ ტიპიზირებულ სახეებში ჩვენების რეალისტური მეთოდი (ნიკო ყიასაშვილი). ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ შექსპირის დრამატურგიის (და არა მხოლოდ!) გვირგვინად მიჩნეულია „ჰამლეტი“, სადაც მაღალი პოეზიისა და ფილოსოფიურ სიღრმეთა სინთეზი დღემდე გვიფორიაქებს სულს. შემეცნების თეორიის მიხედვით, შექსპირის მთელი დრამატურგიის და, განსაკუთრებით, „ჰამლეტის“ მამოძრავებელი ღერძი სენსუალიზმია. სენსუალიზმის კლასიკური ფორმულაა: „გონებაში არაფერია ისეთი რაც ადრე არ იყო გრძნობებში“. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი შინაგანი დულილი და გათვლები გახდა ბიძგი რეჟისორისთვის თავისი არაორდინალური ექსპერიმენტი „ჰამლეტთან“ და მხოლოდ „ჰამლეტთან“ მიმართებაში განეხორციელებინა. გარდა ამისა, შექპირს აქ კვანძის გასახსნელად აქტიორები ჰყავს ჩართული და შესაძლოა, ესეც ერთგვარი მაპროვიცირებული შტრიხი აღმოჩნდა რეჟისორული კონცეფციის გამოსაკვეთად.

სცენა განტვირთულია ზედმეტი აქსესუარებისაგან. რუხ-მოთეთრო გამაში გადაწყვეტილი გარემო (მხატვრები — შოთიკო ბაგალიშვილი, გიორგი უსტიაშვილი) თავისუფალ, ლაღ სამოქმედო სივრცეს უქმნის მონაწილეებს. სიღრმეში განთავსებულია დეფორმირებული ტახტი-საწოლი, რომელსაც რამდენიმე გაურანდავი ფიცარი აქვს მიდგმული. საჭიროების შემთხვევაში მსახიობები მას გაათამაშებენ. მარცხენა კუთხეში კვარცხლბეკია „წამოჭიმული.“ ეს არის და ეს.

„ჰამლეტის“ მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან რეჟისორმა მხოლოდ რვა მათგანს მიაპყრო ყურადღება, ერთიან რკალში მოაქცია ისინი და ბუფონადის, სარკაზმის, გროტესკის, პანტომიმის მოშველიებით, კომედიის მრავალსახეობის დინებას გაადევნა მაყურებლის ინტერესი. ლევან ხვიჩიას ჩანაფიქრი იმითაცაა მომხიბვლელი, რომ იგი არ ცდილობს მხოლოდ მსუბუქი საშემსრულებლო ხერხებით, გასართობი ტრიუკების მაცდუნებელი გზით აიყოლიოს აუდიტორია. მისი ხედვა უფრო ღრმაა, ჟანრის ისტორიული კანონზომიერების ძიებასთანაა კავშირში. კომიკური, როგორც ესთეტიკური ფენომენი, ტოტემიზმის ხანიდან მომდინარეობს. ტოტემიზმმა საფუძველი ჩაუყარა საკულტო რიტუალს, რომლის ნიადაგზე წარმოიშვა თეატრი. კომედიის ფორმირება განხორციელდა ყოფითი სცენების გამთამაშებელი მიმოსების და სატირების ქოროს სიმღერა-მოძახილის გამთლიანების შედეგად. ეს ყველაფერი კრიალოსნის მძივებივითაა აკინძული სპექტაკლში: სიმღერით, ცეკვით, პლასტიკით, პანტომიმური სცენების გათამაშებით (ისიც ხომ აშკარაა, რომ კომედიას პანტომიმიკური საწყისი აქვს) მიღწეულია ყველაზე მთავარი — ორგანულობა. ამ შემთხვევაში, ლევან ხვიჩია მიმართავს კომედია დელ'არტეს პრინციპს, სადაც მსახიობები ვირტუოზულად ფლობდნენ კოლექტიური იმპროვიზაციის ხელოვნებას. უდავოა, რომ სწორედ ამ ნიშნით შეარჩია რეჟისორმა მსახიობები და მიაღწია კიდეც ანსამბლურობას

სამწუხაროდ, თანამედროვე თეატრმა თითქმის დაივიწყა გრიმი, არადა გრიმი მხატვრული სახის გახსნის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. გრიმის ხელოვნება უძველეს საკულტო და საწესჩვეულებო სანახაობებში ჩაისახა. ანტიკური ხანის ბერძნულ თეატრში მსახიობები სახის შესაცვლელად ნიღაბს იყენებდნენ. შუა საუკუნეებში სახეს მურით და მცენარეული საღებავით იღებავდნენ. ამჟამად ბევრ აზიურ ქვეყანაში კვლავაც შენარჩუნებულია ნიღაბი, ოღონდ უკვე გრიმის სახით. ლევან ხვიჩიამ თავისი სპექტაკლით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გრიმი ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ასრულებს ჩანაფიქრის რეალიზებაში.

კლავდიუსის გრიმი ნიღბის ასოციაციებს ბადებს — თეთრ პირისახეზე სისხლისფერი თვალები გამოკვეთს პატივმოყვარეობით, ავხორცობით და მპყრობელის ჟინით გათანგული უზურპატორის გროტესკულ პორტრეტს. რა თქმა უნდა, მხოლოდ გრიმის მეშვეობით ვერ შეიქმნებოდა ის ძლიერი შთაბეჭდილება, რაც ბექა სონღულაშვილის ემოციურად სისხლსავსე, გააზრებულმა თამაშმა მოახდინა.

გერტრუდას ვნებამოჭარბებული ხასიათი სცენური შარმითა და ძლიერი მუხტით წარმოგვიდგინა მანანა აბრამიშვილმა. ლირიკულ-კომედიური ელფერითაა გაცისკროვნებული ედმონდ მინაშვილის ჰამლეტი. თვითირონია და დისტანციური დამოკიდებულება ნოსტალგიური ფერით ამთლიანებს კომიზმზე „დამყნობილ“ დანიის პრინცს. ხაზგასმულად გულუბრყვილო და სასაცილომდე მიამიტურია პაატა გულიაშვილის პოლონიუსი; იღლიაში ხანჯალგაჩრილი მოსიარული გვამი, რომელიც შემდგომ ანგელოსის ფრთებით მოგვევლინება, ორ სამყაროს შორის მომრიგებელ მოციქულად აღიქმება. პლასტიკური სახიერების, პანტომიმური ელასტიკურობის, ფარსული ნიუანსირების პალიტრას უხვად მიმართავს ირაკლი სანაიას ლაერტი. ჰამლეტის ფერადკანიანი მეგობარი ჰორაციო კახა კუპატაძის შესრულებით ელეგანტურია და განათლებული, რასაც წარმოდგენაში ხაზი გაესვა უცხოენოვანი ტექსტის დეკლამირებითაც. ამ შტრიხით რეჟისორმა ჰამლეტის მსოფმხედველობის სივრცე და თვალსაწიერი გამოკვეთა.

სპექტაკლში მახვილგონივრული მიგნებების მთელი კასკადია. ჟანრის უზუსტესი შეგრძნებითაა გათამაშებული პოლონიუსის, ლაერტის და ოფელიას სცენები. რეჟისორი გემოვნების ბეწვის ხიდზე სიმსუბუქით გადის, ოდნავი გადაჭარბებაც კი ბალაგანის უხამს მორევში გადავარდნის საშიშროებას წარმოქმნიდა, მაგრამ როგორც ჩანს ეს მისი რეჟისორული ბუნებისგან შორს დგას. სექსის იმიტაციისა და პრეზერვატივების მანიპულირების ერთი შეხედვით „უხერხული“ ეპიზოდები ისეთი იუმორნარევი სიმსუბუქითაა მოწოდებული, რომ ვულგარულობასთან მინიმალურ შეხებასაც კი აარიდა მაყურებელი. ამ გათამაშებაში ორგანულადაა ჩართული ქეთი სვანიძის ოფელია, უკვე აღარაფერს ვამბობ მის შთამბეჭდავ პლასტიკურ გამომსახველობაზე. აზრობრივად დატვირთული და სანახაობრივად პიკანტური მისია არგუნა რეჟისორმა უსულო საგანს კვარცხლბეკს, რომელზედაც ჰამლეტის მამის აჩრდილისა და პოლონიუსის ტანდემი ცხოვრების ამაოების ორაზროვნებაზე მიგვანიშნებს. მუდამ მომღიმარი მამის აჩრდილი იმქვეყნიური გადმოსახედიდან გულიანად დასცინის ამქვეყნიურ მოკვდავთ — ებრალება ამაოდ მოფუსფუსე, ბედისწერისაგან შერისხულ-განწირული არსებანი. ეს განწყობილება მშვენივრად მოაქვს გელა თავბერიძეს. თეატრალიზებული კლოუნადის ელემენტებითაა გაჯერებული ოფელიას დაკრძალვისა და მასთან გამოთხოვების სცენები. საერთოდ, მთელი წარმოდგენა აღსავსეა ხალისიანი ინტერმედიებით; ლევან ხვიჩია ლიუფთ-პაუზასაც ქმედით ფუნქციას ანიჭებს და ერთი ამოსუნთქვით გვაწვდის ფეიერვერკულ სანახაობას, რასაც აძლიერებს ჟანრის ბუნებიდან გამომდინარე, მის მიერვე ზუსტად და დახვეწილი გემოვნებით შერჩეული მუსიკალური გაფორმება.

ასეთი ეფექტური განაცხადის შემდეგ, მაყურებელი დიდი ინტერესით დაელოდება ლევან ხვიჩიას ახალ ნამუშევრებს, უფრო მნიშვნელოვანი მიღწევების იმედით.

ვაჟა ძიგუა
თეატრმცოდნე

საეკლესიო კალენდარი

1 მაისი, აღდგომიდან II, თომას კვირა. კვირაცხოვლობა.
— ღირ. ბასილი რატიშვილის ხსენება (XIIს);
3 მაისი (სამშ.) — მიცვალებულთა ხსენება;
4 მაისი (ოთხშ.) — მღვდელმოწამე ექვთიმე შარვაშიძის (გაენათელ მიტროპოლიტის) ხსენება;
6 მაისი (პარ.) — წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედი **გიორგის** ხსენება;
8 მაისი, — აღდგომიდან III, მენელსაცხებლე დედათა კვირა.
— მცხეთის ჯვრის აღმართება;
10 მაისი (სამშ.) — მოციქულისა და მღვდელმოწამის სვიმეონის (უფლის ნათესავის) ხსენება;
12 მაისი (ხუთშ.) — მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება;
— 300 მხედართა, დუდიყვათსა და პაპათში მუსლიმთაგან წამებულთა;
13 მაისი (პარ.) — მოციქულ იაკობ ზებედეს (წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ძმის) ხსენება;
14 მაისი (შაბ.) — კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენება (1213წ);
15 მაისი, აღდგომიდან IV, განრღვეულის კვირა:
— მართალ ტაბითას ხსენება (Iს.);
— წმ. ათანასე დიდის (ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსის) ხსენება (373წ.).
18 მაისი (ოთხშ.) — ერგასის განზოგება;
— მონამე საგდუხტ ქალწულის ხსენება;
— დიდმოწამე ირინეს ხსენება (I-IIს.);
20 მაისი (პარ.) — ხსენება პატიოსნისა ჯვრისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს (351წ.);
21 მაისი (შაბ.) — წმ. მოციქულისა და მახარებლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენება;
22 მაისი, აღდგომიდან V, სამარიტელის კვირა:
— აღმოყვანება ნაწილთა წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა მირონლუკიიდან ბარში (1087წ.);
— მიცვალება ღირ. შიო მღვიმელისა (1087წ.);
23 მაისი (ორშ.) — მოციქულ სვიმონ მოშურნის ხსენება;
26 მაისი (ხუთშ.) — ღირ. ექვთიმე ათონელის ხსენება (1028წ.);
28 მაისი (შაბ.) — ღირ. პიროს ბრეთელის ხსენება (VIს.);
— ღირ. პახუმი დიდის ხსენება (დაახლ. 348წ.);
29 მაისი, აღდგომიდან VI, ბრმის კვირა: — ღირსი თეოდორე განწმენდილის ხსენება (368წ.);
31 მაისი (სამშ.) — შვიდი მსოფლიო კრების წმ. მამათა ხსენება:

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

ზეთის კურთხევის საიდუმლო

ზეთის კურთხევის საიდუმლო არის მღვდელმოქმედება, რომლის აღსრულებისას სნეულის სხეულზე ნაკურთხი ზეთის სათანადო წესით ცხებისას, საღვთო მადლის მოხმობა ხდება სულიერ და ხორციელ უძლურებათა განსაკურნებლად.

აღნიშნული საიდუმლო მოციქულთა დროიდან იღებს დასაბამს. მოციქულები იესო ქრისტესგან მიღებული ხელმწიფებით „ცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“ (მკ. 6.13). მათ ეს საიდუმლო ეკლესიის მღვდელმსახურთ გადასცეს, რაზეც იაკობ მოციქულის შემდეგი სიტყვებიც მოწმობს: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მოვეეტეოს მას“ (იაკ. 5.14-15).

ზეთის კურთხევის საიდუმლოს მორწმუნეთათვის სულისა და სხეულის მადლისმიერი კურნება და განწმენდა მოაქვს, რაც ერთგვარი საწინდარია იმისა, რომ თითოეულმა, მსგავსად ხუთი ბრძენი ქალწულისა, მთლიანად მიუძღვნას თავი უფალს.

ქრისტიანული თვალთახედვით, სულისა და სხეულის უძლურება, მისი ავადობა, დაცემული ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს და პირველცოდვას უკავშირდება. შემდგომად ცოდვით დაცემისა, თავდაპირველი უწყება ავადმყოფობის შესახებ ევამ უშუალოდ უფლისგან მოისმინა: „განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი,“... დაბ. 3.16.

იმის გამო, რომ სულიერი უძლურება რომელიც ვლინდება: უხასიათობაში, მოწყენილობაში, უიმედობაში, სასოწარკვეთასა და მოუსვენრობაში (და ასევე სხვა მრავალ ცოდვაში), ხშირად მოუნანიებელ ცოდვებს უკავშირდება, და არც თუ იშვიათად პიროვნების მიერ გაუცნობიერებელი რჩება, ზეთისკურთხევის საიდუმლოში მონაწილეობის მიღების საშუალება ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანებსაც ეძლევათ, ოღონდ სინანულის საიდუმლოს შემდგომ, და ისიც საერთო ზეთისცხებისას (3. 315).

საეკლესიო ტრადიციის მიხედვით საერთო 7-გზის ზეთისცხება დიდმარხვაში ჯვრის თაყვანისცემის შვიდეულში, ან ვნების შვიდეულის ხუთშაბათის ან შაბათის წინა დღეს აღესრულება. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში სნეულთათვის ამ საიდუმლოს აღსრულება საეკლესიო წლის ნებისმიერ დროსაცაა შესაძლებელი.

7-გზის ზეთისცხება მართლმადიდებლური აღმსარებლობის პირთათვის არის განკუთვნილი, რომლებიც სულიერად ან ფიზიკურად არიან ავად, ხოლო რაც შეეხება ფიზიკურად ჯანმრ-

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

თელ ადამიანებს, მათთვის ხსენებული საიდუმლოს აღსასრულებლად (გარდა საერთო 7-გზის ზეთის ცხებისა), მღვდელმთავრის კურთხევაა საჭირო.

ზეთისცხებისას სნეულ ადამიანს ზეთს (ჯვრის სახით) სხეულის შემდეგ ნაწილებზე სცხებენ: **შუბლზე, ნესტოებზე, თვალის ქუთუთოებზე** (ანდა თვალების ქვემოთ), ტუჩებზე (იგივე პირზე — ნიკაპზე), **ყურებზე, მკერდზე, ხელებზე** (ორივე მხრიდან, ნიშნად ცოდვის გარეგანი და შინაგანი მხარეებისა — დკ. ბ.გ.) და (თუ ეს შესაძლებელია) ფეხებზეც.

სნეულს სხეულის ნაწილებზე ზეთი 7-გზის ეცხება თითეული მღვდლისაგან მონაცვლეობით. ამავე დროს სახარებას, სნეულის ლოცვას და ზეთისცხებისას წასაკითხ ლოცვას: — „**მამაო წმიდაო, მკურნალო**“-ს, შვიდთაგან ის მღვდელი წაიკითხავს, რომელსაც უშუალოდ უწევს ზეთისცხება;

ზეთის კურთხევის საიდუმლო, როგორც წესი, ტაძარში აღესრულება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა ავადმყოფს არ ძალუძს გადაადგილება და ზეთისცხება სახლში ან საავადმყოფოში სრულდება. ამასთან, თუ ზეთის კურთხევის საიდუმლო სინანულისა და ზიარების საიდუმლოებებთან ერთად უნდა აღესრულოს, პირველად სინანულის საიდუმლო შესრულდება, შემდეგ ზეთისცხების და ბოლოს კი ზიარებისა. ამასთან:

ა) თუ არ არის პიროვნების გარდაცვალების საშიშროება, არც ზიარების მიღების საჭიროებაა ზეთისცხების შემდეგ, თუმცა ზეთისცხების უწინარეს, სასურველია აღსარების მიღება და შემდეგ ზეთისცხება;

ბ) თუ სახეზეა პიროვნების გარდაცვალების აშკარა საშიშროება, სნეული თავდაპირველად უნდა ეზიაროს და მას შემდეგ ეცხოს ზეთი.

ზეთის კურთხევის საიდუმლო ჩაითვლება აღსრულებულად, თუ სნეულის გარდაცვალებამდე მოესწრება (საცხები) ზეთის კურთხევა და ზეთისცხება ერთხელ მაინც;

7-გზის ზეთისცხება სნეულ ადამიანზე შეიძლება განმეორდეს, ოღონდ არა ერთი და იმავე (თუნდაც ხანგრძლივი) ავადმყოფობის მიმდინარეობის პერიოდში, რადგან ზეთისცხების შედეგი ღვთის ნების გამოვლენად არის მიჩნეული. ანუ, ავადმყოფმა ღვთის ნება ერთხელ უკვე გამოსცადა და უფალმა თავისი განჩინება ამ ადამიანზე უკვე გამოიტანა, თუმცა საეკლესიო პრაქტიკა არ კრძალავს ერთი და იმავე ავადმყოფობის პერიოდში ზეთისცხების გამეორებას (დკ. ბ.გ).

ზეთის კურთხევის საიდუმლოში:

— რიცხვი 7, სულიწმიდის შვიდ ნიჭზე მიუთითებს (რომლებიცაა: 1. შიში ღვთისა, 2. ღვთისმსახურება, 3. ძლიერება, 4. ზრახვა, 5. მეცნიერება 6. გულისხმიერება და 7. სიბრძნე). ასევე მოგვაგონებს:

ა) წინასწარმეტყველ ელისეს 7 ლოცვას, რომელიც მან ყრმის მკვდრეთით აღდგენისას აღასრულა (IV მფ. 4,35);

ბ) წინასწარმეტყველ ილიას ლოცვებს, რომელმაც სამწელიწადნახევარი დახშა ზეცა უწვიმრობით (III მფ. 18,43) და სხვა.

— **ზეთი** მადლისმიერი განკურნების ხილული ნიშანია (მკ. 6.13);

— **ხორბალი** პიროვნების სულიერი და ხორციელი განახლებული ცხოვრების სიმბოლო;

— წითელი **ღვინო** ჯვარცმულის სისხლის სიმბოლოა,

— ხოლო **ზეთისცხების ჩხირები** კი ზეთისხილის იმ რტოსი, რომელიც მტრედმა მოუტანა ნოეს წარღვნის დასრულებისას.

— **ზეთსა** და **ღვინოს ურევენ ერთმანეთში** მსგავსად იმ ქმედებისა, რომელიც მოწყალე სამარიტელმა აღასრულა გვემული კაცის ჭრილობების განსაკურნებლად (ლკ. 10.34).

ყოველი ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებისას, თავიდან უნდა იკურთხოს ზეთი, ხოლო მორჩენილი ზეთი კი გამოიყენონ კანდლებისათვის. შესაძლებელია აგრეთვე ნაკურთხი ზეთი (მოძღვრის კურთხევით), თვით სნეულმა გამოიყენოს რწმენითა და უდიდესი კრძალულებით. რაც შეეხება დარჩენილ ხორბალსა და საცხებ ჩხირებს (საწმენდ ბამბის ფთილებთან ან მარლის ნაჭრებთან ერთად), მათ იმ ღუმელში წვავენ, სადაც საკმეველი მზადდება;

აღნიშნული საიდუმლო **არ აღესრულება:**

— ჯანმრთელ ადამიანებზე, გარდა საერთო 7-გზის ზეთისცხებისა;

— უგონო მდგომარეობაში მყოფ სნეულზე (და ისიც იმ შემთხვევაში თუ მღვდელი არ იცნობდა მის რელიგიურ ცხოვრებას. მაგრამ, თუ მღვდლისათვის ცნობილი გახდა, რომ სნეული გონების დაკარგვამდე სურვილს გამოთქვამდა საიდუმლოში მონაწილეობაზე, არ იკრძალება ზეთის ცხება);

— „საეკლესიო სინანულში“ (ანუ, გარკვეული ეპიტემიის ქვეშ) მყოფ პირებზე;

— აგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე;

— მოუნანიებელ, აშკარა მომაკვდინებელ ცოდვაში მყოფ ადამიანებზე;

— ჯანმრთელ მოზარდებზე, რომელთაც არ შესრულებიათ 7 წელი;

— გარდაცვლილ ადამიანებზე;

— ასევე, მღვდელს ეკრძალება ამ საიდუმლოს თავის თავზე აღსრულებაც.

ზეთისკურთხევის საიდუმლოს ორგვარი ნაყოფი გააჩნია:

ა) **სნეულის განკურნება** და ბ) **ცოდვათა მიტევება** (იაკ. 5.14-15).

ამგვარად, აღნიშნული საიდუმლო სინანულის საიდუმლოს იგივეობრივი არ არის, თუმცა არსებობს საგანგებო მითითებები, რომელთა მიხედვითაც 7-გზის ზეთისცხებით სნეულს მიეტევება:

ა) უნებლიე, გაუცნობირებლად, ადამიანური უძლურებით ჩადენილი იდუმალი (მისი გონებისთვის მიუწვდომელი) ცოდვები;

ბ) ის ცოდვები რომლებიც ავადობის მიზეზი შეიქნა და უმეცრების გამო ჩაიდინა, რადგან არ ჰქონდა წარმოდგენა მათ შესახებ, და არც მიიჩნევდა ცოდვად;

გ) ჩადენის ხანდაზმულობის გამო მივიწყებული უმნიშვნელო ცოდვები, რომელთაც გულწრფელად მოინანიებდა რომ გახსენებოდა;

დ) ცოდვები რომელთაც სურვილის მიუხედავად, უმძიმესი ავადობის გამო (მაგ.: წართმეული აქვს მეტყველების უნარი და ა.შ.) ვერ უმხელს მოძღვარს; ან უძლურების გამო არ ძალუძს გამოასწოროს კეთილი საქმეებით, მარხვით, ლოცვით, შენდობის თხოვნით, შერიგებით, და ა.შ.

ე) ისეთი ცოდვები, რომლებიც სნეულს აღსარების შემდგომ „ეწვია“ აზრებით, შეგრძნებებით, სხეულის მოძრაობით, სიტყვებით და ამძიმებენ მის სულს;

ვ) ეშმაკის მანქანებით აღძრული სულის **მშფოთვარება** ადრე მონანიებული განსაკუთრებით მძიმე ცოდვების გამო, რომელთათვის სინდისი ქეჯნის; მცირედ მორწმუნეობით გამოწვეული **ორჭოფობა** (მიეტევა თუ არა ცოდვები) და მათგან აღძრული **მოწყინება**, რაც იმედს უკარგავს მას ღვთის მოწყალებაზე;

და ბოლოს შეჯამებულად ვიტყვით. აღნიშნულ საიდუმლოს ადამიანი გაბატონებული ცოდვების მონობისგან თავის დაღწევისაკენ მიჰყავს. სულითა და ხორცით დაძაბუნებულ ადამინს, რომელსაც არ ძალუძს სათანადოდ აღიაროს ცოდვები, ზეთის კურთხევის საიდუმლოს საშუალებით უმსუბუქდება სინდისი, და გზა ეხსნება ხორციელი სენის მადლისმიერი კურნებისაკენ.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ცოდვათა მიტევება (იხ. ა,ბ,გ,დ,ე და ვ პუნქტები) ზეთის კურთხევის საიდუმლოს მეშვეობით, ერთგვარად ავსებს სინანულის საიდუმლოს. ავსებს არა იმ თვალსაზრისით, თითქოსდა სინანულის საიდუმლო საკმარისი არ იყოს ცოდვათა მიტევებისათვის, არამედ შეუძლებლობით სნეულის მხრიდან, სრულად ეზიაროს სინანულის საიდუმლოს მადლმოსილებას, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო.

თბილისის წმიდა სამების
საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური
დეკანოზი გიძინა (გუნია)

"სტალინგრადის ბრძოლა"

„ჰამლეტი" – ჰარადოქსები!..



ხახული

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი